ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4500413

ნომერი: AR1678178

თარიღი : 30.04.2019

გაცემის თარიღი : 15.05.2019

გაცნობის თარიღი : 15.05.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 56გ ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 56ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზ ადეიშვილი პ/ნ 01010002730
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 29/31/33 ბ. 9

ორგანიზაცია:

- შპს "თემა ივერია" კოდი: 405043331

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 08 ოქტომბრის №4205359 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 30 აპრილს NAR1678178 განცხადებით მომართა მალხაზ ადეიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 08 ოქტომბრის №4205359 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 08 ოქტომბრის №4205359 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, გზატკეცილი წყნეთი, N56გ/ქ. თბილისი, გზატკეცილი წყნეთი, N56ა, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.14.09.004.186) დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, 2018 წლის 13 დეკემბრის №4304681 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 13 დეკემბრიდან 2018 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2018 წლის 08 ოქტომბრის №4205359 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, საცხოვრებელი ფართობი 4910.6 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 4893.6 კვ.მ, კომერციული ფართობი 405.1 კვ.მ-ის ნაცვლად 402.7 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 1864.9 კვ.მ-ის ნაცვლად 1800.6 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 733.7 კვ.მ-ის ნაცვლად 642.9 კვ.მ, დამხმარე ფართობი 397.3 კვ.მ-ის ნაცვლად 448.5 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი 1526.5 კვ.მ-ის ნაცვლად 1527.8 კვ.მ, ხოლო, საერთო ფართობი 9900.9 კვ.მ-ის ნაცვლად - 9778.9 კვ.მ. განმცხადებლის მიერ ასევე წარმოდგენილია შესაბამისი გეგმები.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 08 ოქტომბრის №4205359 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი: 4893.6 კვ.მ, კომერციული ფართობი: 402.7 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 1800.6 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 642.9 კვ.მ, დამხმარე ფართობი: 448.5 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი: 1527.8 კვ.მ, საერთო ფართობი: 9778.9 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 08 ოქტომბრის №4205359 ბრძანებით შეთანმხებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 08 ოქტომბრის №4205359 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 08 ოქტომბრის №4205359 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.